ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7243768

ნომერი: AR11059887

თარიღი : 01.10.2024

გაცემის თარიღი : 08.10.2024

გაცნობის თარიღი : 09.10.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლიანა ერაძე პ/ნ 01013023954
- თბილისი ვარკეთილი 3 I მ/რ კორ. 1 ბ. 16

ნომენკლატურა :

- კინო-თეატრი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ღია ამფითეატრი და დამხმარე სათავსო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით აბულაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,სპორტმშენსევისი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204878542
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გერონტი ცინდელიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 51001002907

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 6718288 (№ 6963411 02/04/2024)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 19.10.2023

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე ლიანა ერაძის 2024 წლის 01 ოქტომბრის AR11059887 განცხადება.
2.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 02/04/2024 წლის № 6963411 ბრძანებაში: ბრძანების მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 8 ოქტომბრიდან 2025 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით“.
4. მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
1)დროებითი სათავსების მოწყობა: გასახდელები, მცირე ზომის საწყობი, სამუშაოს მწარმოებლის ოთახი; არსებული ხე-ნარგავების მოწესრიგება; ტერიტორიაზე, არსებული არასაჭირო ნაგებობებისა და ლითონის ღობეების დემონტაჟი; დროებით სარგებლობისათვის წყალი, კანალიზაცია და ელექტროობა; სამშენებლო საზღვრების დროებით შემოფარგვლა.
2)ღია ამფითეატრისთვის, ტერიტორიის და არსებული ერთსართულიანი შენობის ღერძული და ვერტიკალური დაკვალვები და მისი მიბმა ათვლის წერტილთან - რეპერთან; არსებული ერთსართულიანი შენობის ნაწილობრივი დემონტაჟი: სახურავის, კარ-ფანჯრების მოხსნა, ზოგიერთი ტიხრისა და მზიდი კედლის ფრაგმენტის დაშლა; არსებული შენობის შიგნით და მის მიმდებარედ ღია ამფითეატრის, ძირითადი კონსტრუქციების ფუნდამენტებისათვის გრუნტის ქვაბულის მომზადება.
3)არსებული ერთსართულიანი შენობის შიგნით, დამატებითი ფუნდამენტების და მზიდი სვეტების მომზადება; ღია ამფითეატრის სცენის, სამაყურებლო სივრცის და საპროექციო სათავსოს ფუნდამენტების მომზადება; სცენის ირგვლივ და არსებული შენობის განივკვეთზე, მონოლითური მზიდი კედლების მომზადება; სცენის უკანა ნაწილზე რკალურად, ეკრანის დამაგრებისათვის და სცენის უკანა სივრცის გადახურვის გადახურვის ფილის დაჭერისათვის, მონოლითური ფუნდამენტებზე ორტისებრი ლითონის კოჭების დამონტაჟება; არსებულ ერთსართულიან, მათ შორის საპროექტორო შენობაზე, მონოლითური ფილების მომზადება; ამფითეატრის სამაყურებლო სივრცეში რკინაბეტონის მონოლითური დასაჯდომები სკამებისა კიბის მარშების მოწყობა; კიბის საფეხურებში განათების სისტემების მოწყობისათვის, ბეტონის სამუშაოების ჩატარებამდე, საჭიროა სპეციალური დაკაბელება; გადახურვის საჭიროებისათვის, ამფითეატრის სცენის კიდეებზე ორი და ამფითეატრის სამაყურებლო სივრცის კიდეებზე ოთხი მონოლითური ტუმბოს მოწყობა; არსებული ერთსართულიანი შენობის ნაწილი მონოლითური ფილის მოწყობის შემდგომ, ხის კონსტრუქციის გამოყენებით, პროფილირებული ლითონის ფურცლებით დახურვა. წყლის გამყვანებისა და დგარების მოწყობა;
4)სტრუქტურული ფერმის დამზადება და მონტაჟი; ლითონის სამი მრგვალი კიბის დამზადება და მონტაჟი; ლითონის მოაჯირების, სკამების და სხვადასხვა ელემენტების დამზადება და მონტაჟი; შენობის ტერასულ გადახურვებზე თბოსაიზოლაციო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები; კარ-ფანჯრების დამზადება და მონტაჟი; საინჟინრო კომუნიკაციების მონტაჟი;დახურულ სივრცეებში მოსაპიკეთებელი სამუშაოები; გარე სადრენაჟე სისტემების მონტაჟი; ამფითეატრის სცენის, სამაყურებლო სივრცის და ამფითეატრის ირგვლივ ზედაპირების მოპირკეთება და დამუშავება;
5)შიდა სამღებრო სამუშაოები; გარე სამღებრო სამუშაოები; განათებისა და სანტექნიკის აქსესუარებისა და გათბობის აგრეგატების მონტაჟი; ამფითეატრის სამაყურებლო სივრცეში პლასტმასის სკამების მონტაჟი
6)დროებითი ნაგებობების დემონტაჟი; ტერიტორიაზე სავალი ნაწილების, დეკორატიული ფილებით მოპირკეთება; ტერიტორიაზე ბალახის საფარის მოწყობა; ტერიტორიის დასუფთავება და ექსპლუატაციისთვის მომზადება

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 1415 მუხლის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2025 წლის 31 დეკემბრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
5) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19/10/2023 წლის № 6718288 და 02/04/2024 № 6963411 ბრძანებებთან ერთად.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.